

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „VTM“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 25 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404988527, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შ.ნუცუბიძის ფერდ, III მ/რ, III კვ., კორ. 7, ბ. 10. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, ვანო ამირანაშვილი (პ.ნ.57001005960) - 100%, დირექტორი ვანო ამირანაშვილი (პ.ნ.57001005960).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საყოფასხოვრებო ტექნიკით საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

1.4. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობის მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-

ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს

ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა

ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	31662	47318
ლარი საბანკო ანგარიშებზე	159928	178518
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	0	
ევროები საბანკო ანგარიშებზე	0	0
ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე	0	0
სულ:	191590	225836

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	1941532	273601
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ		
სულ:	194153	273601

3.3. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	67988	96559
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები		
სულ:	67988	96559

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	2419973	2404190
სულ:	2419973	2404190

3.5. წინსწრებით გადახდილი გადასახადები და სხვა აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	3331	
სხვა მიმდინარე აქტივები	301	25525
სულ:	3632	25525

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	107751	107751
შენობა ნაგებობები	544786	515114
კავშირგაბმულობა, ოფისის აღჭურვილობა და კომპ. ტექნიკა	4029	9191
სარეკლამო საშუალებები	13851	19908
ავეჯი და ინვენტარი	5619	8298
სატრანსპორტო საშუალებები	53254	36376
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	17254	9453
სხვა ძირითადი საშუალებები	787	372
სულ:	747331	690503

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 171727ლარი;

2019 წლის ბოლოს - 237350 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	1717	15717
სულ:	1717	1717

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	1477878	1508176
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ		
სულ:	1477878	1508176

3.09. სესხზე დარიცხული პროცენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ფიზიკურ პირისგან მიღებულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	4250	4250
სულ:	4250	4250

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება		6766
სულ:	0	47629

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	44258	32705
სულ:	44258	32080

3.12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
„პროკრედიტბანკი“სესხი (USD)		
„პროკრედიტბანკი“სესხი (GEL)	913431	806523
ფიზიკური პირის სესხი (GEL)	260000	260000
სულ:	1173431	1066523

3.13. საკუთარი კაპიტალ

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი		
ზარალი	926567	1113511
სულ:	926567	1113511

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2018-2019 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2018-2019 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.14. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.15. მიწოდების ხარჯები:

		2018 weli	2019 weli
7310	$a - \ddot{Y}_i \ll \frac{1}{2} \ll \frac{a^3}{4} - \ll$	5845	6215
7340	$-^a \ll \ll \ll -^a - \ll - \ll \frac{1}{2} \ll \frac{1}{2} \ll \frac{a^3}{4} - \ll$	7391	9263
7390	$\ll \ll - \ll \ll \frac{1}{2} \ll \frac{1}{2} \ll \frac{a^3}{4} - \ll$	353547	383917
	sul:	366783	399395

3.16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

		2018 weli	2019 weli
7410	3 ^a დღე « $\langle \text{ქ} \rangle \text{შ} \langle \text{ქ} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	461545	495273
7415	საპენსიო ხარჯები	0	8718
7420	« $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{a}}$	297780	310876
7423	— $\langle \text{ქ} \rangle$ — $\langle \text{ე} \rangle^{\text{a}}$ • $\langle \text{შ} \rangle$, » $\langle \text{ქ} \rangle$, —« $\langle \text{ქ} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ე} \rangle$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	32943	31509
7426	« $\langle \text{ე} \rangle \langle \text{ქ} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$	1531	2001
7427	$\langle \text{ე} \rangle \langle \text{ქ} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	178	0
7430	$\langle \text{ე} \rangle \langle \text{ქ} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	7535	6887
7440	« $\langle \text{ა} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ე} \rangle$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	66163	67303
7450	« $\langle \text{ე} \rangle \langle \text{ქ} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	120	120
7451	$\langle \text{ქ} \rangle$ — $\langle \text{ა} \rangle^{\text{a}}$	7200	7200
7455	$\langle \text{ქ} \rangle$ — $\langle \text{ა} \rangle$ $\langle \text{ე} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ა} \rangle^{\text{a}}$	67618	65623
7465	« $\langle \text{ქ} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ე} \rangle$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$	6463	6923
7470	« $\langle \text{ე} \rangle \langle \text{ქ} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	21620	3008
7485	» $\langle \text{ა} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ე} \rangle$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	4236	3544
7490	« $\langle \text{ქ} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ე} \rangle$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$	90964	101547
	sul:	1065897	1110532

3.17. არასაოპერაციო შემოსავლები:

		2018 weli	2019 weli
8180	— $\langle \text{ე} \rangle$ — $\langle \text{ე} \rangle$ « $\langle \text{ქ} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	375	569
8190	« $\langle \text{ქ} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ე} \rangle$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$	16926	4132
	sul:	17301	15743

3.18. არასაოპერაციო ხარჯები:

		2018 weli	2019 weli
8210	« $\langle \text{ქ} \rangle^{\text{a}}$ — $\langle \text{ე} \rangle$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{1/2}}$ $\langle \text{ა} \rangle^{\text{3/4}}$ — $\langle \text{ე} \rangle$	94113	86949
8280	uaryofiTi sakurso sxvaobebi	20073	0
8290	sxva arasaoperacio xarjebi	2553	1464
	sul:	116739	66604

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები


2020 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს.

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2019
ამონაგები	8912310	9212716
რელიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7201093	7347648
მოგება ან ზარალი რელიზაციიდან	1711217	1865067
სხვა საოპერაციო შემოსავლები	16926	4132
სულ საოპერაციო შემოსავლები:	1728143	1869199
მიწოდების ხარჯები	366783	399386
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1065897	1109766
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	0	0
სულ საოპერაციო ხარჯები:	1432680	1509152
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან	0	0
ფინანსური შემოსავლები	0	0
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0	0
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
დადებითი საკურსო სხვაობები	375	569
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	0	0
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	375	569
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	0	0
ფინანსური დანახარჯები	94113	86949
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0	0
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
საგადასახადო ჯარიმები და საურაგები	2547	620
უარყოფითი საკურსო სხვაობები	20073	0
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	0	0
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	116733	87569
მოგება დაბეგვრამდე:	179105	273047
მოგების გადასახადის ხარჯი	1064	840
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	178041	272207
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	178041	272207
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:	0	0
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	178041	272207
არამაკონტროლებელ წილზე	0	0
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0
მეკავშირე საწარმოს სხვა სრული შემოსავლის წილი	0	0
სხვა სრული შემოსავალი	0	0
სხვა სრულ შემოსავალთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:	0	0
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	178041	272207
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:	0	0
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	178041	272207
არამაკონტროლებელ წილებზე	0	0

დირექტორი:




ვ. ამირანაშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	0	10408364
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	0	2188
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები	0	0
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	0	-9134342
გაცემული შრომის ანაზღაურება	0	-473729
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	0	0
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	0	0
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	0	0
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	0	-424205
გადახდილი მოგების გადასახადი	0	-840
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	0	-15744
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	0	361692
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	0	0
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	0	0
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	0	0
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი	0	0
მიღებული პროცენტები	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან	0	0
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	0	0
სესხების აღება	0	472371
სესხების დაფარვა	0	-579278
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	0	-52590
გადახდილი პროცენტები	0	-86949
გადახდილი დივიდენდები	0	-81000
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	0	-327446
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	0	34246
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	0	191590
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	0	225836

დირექტორი:



ვ. ამირანაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	01.01.2018	01.01.2019	01.01.2020
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>2687691</i>	<i>2877336</i>	<i>3025711</i>
ფულადი სახსრები	143970	191590	225836
მოკლევადიანი ინვესტიციები			
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	173078	194153	273601
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შეგებაზე			
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	35680	67988	96559
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4536	1	25525
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2330427	2419973	2404190
წინასწარ გადახდილი გადასახადები		3331	
მისაღები პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი მოთხოვნები			
სხვა მიმდინარე აქტივები		300	
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>642236</i>	<i>749048</i>	<i>706220</i>
ძირითადი საშუალებები	640519	747331	690503
ბიოლოგიური აქტივები			
არამატერიალური აქტივები	1717	1717	15717
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები			
გადაცემული საგადასახადო აქტივი			
კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები			
საინვესტიციო ქონება და სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები			
სულ აქტივები:	3329927	3626384	3731931
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>1433785</i>	<i>1526386</i>	<i>1551897</i>
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1348111	1477878	1508176
მოკლევადიანი სესხები			
საგადასახადო ვალდებულებები	51487		6766
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	4250	4250	4250
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	29937	44258	32705
გასაყიდად გამიზნულ გრძელვ. აქტივ. დაკავშირ. ვალდებულებები			
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>994985</i>	<i>1173431</i>	<i>1066523</i>
გრძელვადიანი სესხები	994985	1173431	1066523
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები			
გადაცემული საგადასახადო ვალდებულება			
გრძელვადიანი ანარიცხები			
გადაცემული შემოსავალი			
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>901157</i>	<i>926567</i>	<i>1113511</i>
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი			
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი			
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	901157	926567	1113511
რეზერვები და დაფინანსება			
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	3329927	3626384	3731931

დირექტორი:

3. 

ვ. ამირანაშვილი